№ 266 25 დეკემბერი, ორშაბათი 1866—1878 25 დეკემბერი, ორშაბათი № 266

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის (სადოვაია) ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში № 33.

კანტორა რედაქციისა: იქვე, სადაც იმყოფება რედაქცია.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთისთვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაური

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: [illegible]ბით ასოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი- 5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ქრისტეს-შობის დღესასწაულის გამო, შემდეგი ნომერი „დროებისა" ამ შაბათამდინ, 30 დეკემბრამდინ, ვერ გამოვა.

მომავალ 1879 წელს გაზეთი

„დროება"

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба"*.

გაზეთის ფასი

მთელის წლისა — — 8 მან.
ექვსის თვისა— — — 5 მან.
სამის თვისა — — — 3 „
ერთის თვისა— — — 1 „

მხოლოდ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

საქართველო

დღიური

*** გამოვიდა უმაღლესი განკარგულება, რომლის ძალითაც იმ აფიცრების შვილებისათვის, რომელნიც გასული ომის დროს იყვნენ მოკლულნი ან დაჭრილობისაგან დაუძლურებულნი, თფილისის სამხედრო გიმნაზიაში მიემატება 25 სტიპენდია და ვლადიკავკასის სამხედრო პროგიმნაზიაში 35 ვაკანსია. ამას გარდა თფ. სამხედრო გიმნაზიაში წელს გაიხსნება ათი ვაკანსია, რომელიც მერმის უნდა გახსნილიყო.

*** გაზეთს „კავკაზში" დაბეჭდილია ქუთაისიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელიც გვაცნობებს, რომ იქაურ ქალაქის რჩევას გარდაუწყვეტია მოსპობა ყველა სასაფლაოებისა, რომელნიც ქალაქში იმყოფება, და საზოგადო სასაფლაოს გამართვა ქალაქის წრეს გარეთ სალორიაში.

ამავე კორრესპონდენტის სიტყვით, ქალაქის გამგეობის სმეტით (შემოსავალ-გასავლის ანგარიშით) ქუთაისის ხაზინა მომავალ 1879 წელს მოელის ყოველგვარ შემოსავლიდამ სულ—107,220 მანეთს; გასავალი კი გამოანგარიშებულია—96,853 მან. და $70\frac{1}{2}$ კაპ. ამ ანგარიშით 1879 წელს ქუთაისი 10,000 მანეთზე მეტს ნაღდ შემოსავალს მოელის.

*** დიდის სიამოვნებით ვასწორებთ პატარა შეცდომას, რომელიც გუშინწინდელ (№ 264) „დღიურში" მოგვივიდა: სხვათა შორის მოხსენებული იყო; რომ არცერთს თფილისის საქალებო სასწავლებელში ქართული ენის სწავლას ყურადღებას არ აქცევენო.

ამ სასწავლებლებში გამორიცხული უნდა იყოს თფილისის საქალებო ინსტიტუტი, რომლის მთავრობას, როგორც ბეჯითად შევიტყვეთ, სამშობლო ენის შესწავლაზე ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეულიო. საუბედუროთ, ამ ინსტიტუტის კლასებში კვირაში თითო გაკვეთილის მეტი არ არის დანიშნული, მაგრამ, ამბობენ, გაკვეთილების რიცხვის მომატებასაც უპირებენო.

*** სოფ. მარტვილიდამ (სამეგრელოდამ) გვატყობინებენ, რომ იქაურ ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელთ შორის მუდამ უკმაყოფილება და განხეთქილება ჰსუფევსო და ამის გამო სწავლას დიდი დაბრკოლება ეძლევაო.

*** ახალციხიდამ გვწერენ, რომ, რადგან ძველს ქალაქში ფოჩტის იასჩიკი არ არის გამართული, ამის გამო ამ უბნის მცხოვრებთ ძალიან უძნელდებათ ამ ზამთარში და ტალახში წიგნებისა და გაზეთების მიღება და გაგზავნაო.

იქიდამვე გვატყობინებენ, რომ უფ. ი. ალხაზაშვილი აპირებს იქ თავისუფალი აფთიაქის გამართვას.

ფელეტონი

***

ნაღვლიან გულისა ვნებამ
დამაწყევლა შავ-ბედი!
ფრთებ-დაკვეცილმა ოცნებამ
მთლად წამიწყმიდა იმედი!..

—

სიცოცხლე-გამწარებულსა
მით შემეცვალა გუნება:
ნდობა აღარ აქვს გლახ-გულსა,
სულმაც დაჰკარგა რწმუნება!...

—

და ასე ამბობს გონება:
„დააცხრე გულის ვნებაო!
„სიცოცხლე არის მონება,
„სიკვდილი—განსვენებაო!"

აკაკი

ქუთაისი, 1875.

მიბაძვა

სუნი-გამქრალი, სრულად დამჭკნარი
ვარდი ვიპოვე ძველსა რვეულში,
და რაღაც გრძნობა, დიდი ხნით მკვდარი,
თითქოს შესწუხდა ჩემ დაღლილ გულში..

ვიფიქრე: როდის, ეგ საცოდავი,
რომელ ზაფხულსა აღყვავებულა?
ან მისი ტურფა ხუჭუჭი თავი
რა ხსოვნის ძეგლად აქ ჩადებულა?

ნიშნად პირველის, ტკბილის კოცნისა,
როს ორი სული შეერთდებოდა?
თუ საუკუნოდ გამოთხოვნისა
მდუღრი ცრემლები ზედ ეყრებოდა?

ან, ეგებ, ვისმე ხამ თითებითა
უაზროდ, ტყვილად სულ მოგლეჯილა?
(ასრე ბრიყვისა ხოლმე ნებითა
ბევრი კარგი რამ ამოწყვეტილა!)

თუ უცხო ვინმე კეკლუცი ქალი,
ჩრდილში მწოლარე, ტუჩზედ იდებდა
და ვნებებისა ოცნებით მთვრალი
მასის ყნოსვითა სურვილს იძლებდა?...

ვინ იცნობს ეხლა მისი პატრონი,
ბედნიერია, სიცოცხლეს ხარობს?..
თუ იმ ვარდისა წასრულნი დრონი
კვლავ გულსა სწვავენ და მაზედ ჰფიქრობს?

რა ქვეყნისა არის? ანუ სად არის?..
ეგებ მიწაში შავში მარხია,
და ჩუმსა ქვაზედ მისის სამარის
ვარდები მრავლად ბუჩქებს ასხია!...

შე...

შვილდ-ისრით ნადირობა
(ქუთაისის „თავის" არჩევანის გამო)

—

წლევანდელ წელიწადს ჩვენი პატარა ქუთაისი დედა-მიწაზედ მეხუთე ქალაქია,

ქუთაისის ქალაქის თავის ამორჩევაზედ

ფრანგების მღვდელთ-მთავარი—პაპი რომ გარდაიცვალ-ბა, კარდინალები ახალი პაპის აღმოსარჩევლად თურმე შეუდგებიან მჭიდრო მარხვითა და მუხლთ-მოდრეკილ ლოცვითა რამდენიმე დღის განმავალობაში ღვთის ვედრებასა, რათა მათ მიეცეთ მადლი ღვთისა აღმოსარჩეველად ღირსეული კაცისა ეკკლეზიის თავათა.

ქუთაისის გლასნებიც, რომელთაც გამოეცხადათ ამ დღეებში, რომ მიეცათ მათ ნება თავიანთ სამოქალაქო თავის აღმორჩევისა,—არიან დიდს ვედრებაში ყველანი თავიანთ სარწმუნოებისა წესითა, რათა შეეწიოს მათ ღმერთი აღმოარჩიონ ღირსეული კაცი ქალაქის თავათა, რომელი აღმორჩევაც არის დანიშნული შობის მესამე დღესა.

გლასნები შეფიქრებულნი არიან მხოლოდ ერთს დაკითხვაზედ:

— აღმორჩეული კაცი ქალაქის თავათა უნდა იყოს ღირსეული წარმომადგენელი ქუთაისის საზოგადოებისა, თუ ღირსეული წარმომადგენელი თვით მათივე გლასნების ღირსებებისა, ანუ თუ ღირსეული გვირგვინი მათი შედგენილი უპრავისა?

ეს სამნაირი დაკითხვა სამნაირათა ჰყოფს გლასნების მზრუნველობასა საცოდავ ქალაქის კეთილდღეობაზედ.

ერთნი ამბობენ:

„იმისთანა კაცი უნდა ამოვირჩიოთ, რომელიც ითელებოდეს საუკეთესო კაცად ქუთაისის საზოგადოებიდგანაო, რომელსაც უყვარს თავის სამშობლო ქალაქი, და ოომელსაც აქვს სურვილი, ხალისი და ღონის ძიებაც თავისი გამოცდილობითა და ჭკუითა, და თავის პატიოსნებითა, რათა ერთგულად ემსახუროს საზოგადო საქმესა და არსად, და არავისთან არ შეარცხვინოს თავის საზოგადოებაო.

მეორენი ამბობენ:

„იმისთანა კაცი ამოვირჩიოთ, რომელმაც ჩვენ გლასნებს თვალები არ გაბოუთხაროსო, და რომელიც გამოგვიდგეს ჩვენვე გლასნებსა სხვა რამე საქმეშიო.

ზოგნი ამას ამბობენ:

„იმისთანა კაცი უნდა ამოვარჩიოთო, რომელიც იყოს ამ ჩვენი დამბლა და ზარმაცი უპრავის ღირსეულ თავათაო, ესე იგი იმისთანა კაციო, რომელიც იყოს დაბადებული ქალობის წინეთო, რომელსაც აკლდეს ან თვალთა ხილვა და ან ყურთა სმენა, რომელიც იყოს ზარმაციო, სახელმწიფო სამსახურში დაწუნებულიო, მასთანვე კოტრიო.

ამბობენ, ზოგნი კანდიდატები ძალევენ თხოვნასაო, რომ ქალაქის თავად აღმოარჩიონო. ერთი იმ არზებთაგანი მიჩვენეს. აი ეს არზა სიტყვა-სიტყვითა გადმოწერილი:

„უფალო გლასნებო!

„თქვენი გულ-კეთილობა დღეს ცხა-
„დია ყველასთვის. ქაცთ-მოყვარეობის
„გამო თქვენ დააფუძნეთ ქუთაისში
„სამოწყალო სახლი, სადაც ღებულ-
„სანახავად გ ჭირებულთა, ზარმაცთა, ვა-
„ლებით და ანუ უფულობით შეწუ-
„ხებულთა.—მასთანვე ის სამოწყალო
„სახლში მისაღებლად თხოულობთ,
„რომ იქ შემსველელს ქალაქის ნედლობა-
„კაც ჰქონდეს და სამსახურიდგან იყოს
„დათხოვნილი.

„მე მაქვს არათუ ყოველივე ეს
„თვისებები და საჭიროება, არამედ მაქვს
„კიდევ რამდენიმე ჯვარი და მენდლ-
„ბიცა. ესე რომ, იმედი მაქვს, ღირსეულ-
„ლად შეავასრულო თქვენი უპრავის
„თაობა და გთხოვთ უმორჩილოდ შე-
„მიბრალოთ და აღმომიჩინოთ ქალაქის
„თავათა.

ნიკო ბარბაქაძე

ვნახოთ, შობის მესამე დღეს ქუთაისის გლასნების კრებაში შესახებ სამოქალაქო თავის ამოარჩევისა რა ითქმება, რა იქნება. რომელი ამ ზემოაღნიშნულ სამთაგანი ჰაზრი გამარჯვებული დარჩება კენჭებით!!

ქორტი

ქუთაისი, 22 დეკემბერს.

ამოსარჩევს

სიტყვა ტკბილი გინდა—ოქროს ყურეა, გინდ სულელიც, თუ კი ბრძნულად ჭყავი, თუ ისიც გსურს, რომ ხალხს აძრო ტყავი შეიქნები ქალაქისა თავი!

აკაკი

„დროების“ კორრესპონდენცია

ქუთაისი, 21 დეკემბერს. საკვირველია ქუთაისის და თფილისის ერთმანეთის დამოკიდებულება. ვინ იცის რამდენი წელი და საუკუნეა გასული მას აქეთ, რაც ეს ორი ქალაქი, ორი აკვანი საქართველოს ერთს პოლიტიკურის არსებობისა, ერთმანეთის ზურგით შექცევიან, ერთმანეთს იბუტებიან, თითქოს ცდილობენო, რასაც ერის შეიკერავს, მეორემ ის არ ჩაიცვასო, ან თუ ძალა-უნებურათ ერთმა თავზე მოახვია მეორეს თავისი ახალი სამკაული, ეს მეორე თავს აქიცინებს, თითქოს არ უნდაო ერთსა და იმავე დროს ერთის და იგივე ზომის, ერთნაირათ გაწყობილი ახალი ტანისამოსით ხელი-ხელ ჩაკიდებული ერთად გამოკოპწიაევენ!

მაგრამ რაც უნდა ერთმა იკვინტოს, მეორეს მაინც გარემოება ისე სწყალობს, რომ თავის ახალ მოდას მაინც თავზე გადააცმევს...

მაგალითზე შორს ღარ წავალ! თფილისმა რომ ახალი ქალაქის გიმნაზიის წესი შემოიღო, ქუთაისი მაშინ ამ წესს აინუშია არ აგდებდა, თითქოს სულაც არ ფიქრობდა ამის შემოღებას. მაგრამ გავიდა თუ არა ერთი წელიწადი, ქუთაისიც გაერია საზოგადო ნახირში და შეჰყარა თავისი წარმომადგენლები უ. სტ. აკოაშვილის სახლია ზაღიაში ქალაქის საქმეების საყაყანოთ.

წელს, როდესაც თფილისს საზოგადო საჭიროების ქარმა დარდები აუშალა, სისხლი აუჩქეფა და ქალაქი შეუდგა თავის ძველი წარმომ დგენლების გ-რეკ-გამორეკას, რომ იაათ ადგილას უფ-

---

სადაც ძველი „თავები“ ხმებიან და ამათ ადგილას ახალმა „თავებმ“ უნდა გაიხაროონ.

პირველი ოთხი ქალაქი არის: ამერიკაში—ნეგ-იორკი, რუსეთში—პეტერბურღი და ოდესა და ჩვენშიაც—თფილისი!

ესენი ამ ქალაქებში, თფილისს გარდა, თავის არჩევანი იყო, ძველი „თავები“ უკვე გაიტუტრეს და იმათ მაგიერ ახალი „თავები“ გაიოიბეს! დარჩა, მაგრამ თფილისი, რომელსაც ქუთაისი ზედ მიჰყვება. ამბობენ, თფილისის თავიც კისერ-მოსილდებაო, ისე როგორც ქუთაისი თავზედ ამბობენ..

27-ს დეკემბრიდამ ქუთაისისათვის ახალი ერა დადგება! ამ დღეს გვექნება ქალაქის თავის არჩევანი და ამით დაგვირგვინდება კიდეც ის რეფორმა, რომელიც დღემდინ მხოლოდ საცღელათ და სანახევროთ იყო შემოღებული...

ერთი გარემოება გვაკვირვებს ჩვენ: მმართებლობისაგან მოცემული თავი ოთხი წლის განმავალობაში უნდა გვმოდა და ნეტავი რა ძიზეზია, რომ მეოთხე წელიწადსაც ღარ დააცალეს ამ ნამყენ თავს: უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ მმართებლობამ იმდენათ მომზადებული დაგვინახა, რომ ჩვენი საკარგისო თავის ამორჩევა ჩვენ თავათ შეგვაძლია, თუ ეხლანდელი თავი უვარგისათ დაინახა ჩვენთვის?

ერთის სიტყვით, გინდა თუ არა, ახალი თავი უნდა ავირჩიოთ! სადაც გინდა და როგორც გინდა, თუგინდ ღღისითა ფანრით ძებნელი გაგვიხდეს, უნდა მოვინახოთ ახალი თავი!

რაკი გვეღირსა ქუთაისელებს ეხლა ერთი კარგი მარჯვე დედა-კაცი, რომ ცხრა თვე ცხრა საათად გვიქციოს, პირველი რვა წელიწადი რვა საათად, მეორე რვა წელიწადი ერთ ღღეთ, შემდეგ ოთხი წელიწადიც ოთხ ღღეთ და ერთი იაეთი კაცი ან შავი ღღისთვის გაგვიჩინოს უცბათ ქუთაისში, რომ თავათ დავასკუპოთ?

სწორეთ! ამისთანა ლომ-დედა-კაცი მომენატრა, როდესაც ქუთაისში მივიხედ-მოვიხედე სათავეო კაცებს დასათვალიერებლათ!

რა საოცრობაა, რა კაცების სიძვირეა, რა ბუნებაა სიძუნწე, თქვენი ჭირიმე!! თფილისში პირ-აქეთ იხვეწებიან, ერთის მაგიერ ოთხი, და ქუთაისში პირ-იქით შესახვეწიც! კი არავინა გვყავს! რას მოვე წარით, თქვენი ჭირიმე! სად არიან ეს კაცები? მაგრამ განა გვყვანდნენ კი, რომ ეხლაც იყვნენ?!

მაშ არ გვყავს კაცი „სათავეო“? ღარ ჩანს მაშ „უთავოდ“? ვაი სირცხვილო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო რიგიანი, მხნე, თავგამოდებულები და ქალაქის საქმეების უფრო გულ-შემატკივარი წარმომადგენლები ამოერჩია, ჭუთაისი გამოეხვია თოვლის ქულაში და თბილ ცეცხლა-პირს თავის წარმომადგენლებისა დაეპირა, ნელი ბოლოთის ცეცით, წყნარათ, მშვიდობიანათ ზამთრის გაჩანჩალებას!..

— დაე, Oფილისო, ალიანქოთი და დავი-დარაბით მოიწყვიტე წელიო,—ფიქრობდა ჭუთაისი,—რაც უნდა ბევრი იკვნესო, ითავცემო, ბოლოს მაინც დარწმუნდები, რომ ყოველივე ფიქრი კარგის წარმომადგენლების შეძენაზე ამაოდ დაგრჩება, რადგან შენი გამოზდილი წარმომადგენლები ის გუგულის ბარტყები არიან, შენს ბუდეში რომ ნაგავს სდებენ და სხვის ბუდეში კვერცხებსაო; მაგისთანა აღელვებას ისევ ჩემი ზამთრის ძალი სჯობია უდარდელი და საშობაოდ ორის ქონით მომბალიო....“

მაგრამ დახე ჯინიან გარემოებას, როგორ კვალში უდგია ჭუთაისს და არასჯნით არ აძლევს მოსვენებას: მაინცა-და მაინც ცხოვრების ღელვა-კვნესაში, ხელი-ხელ-ჩაკიდებული Oფილისთან ერთად იარეო, ერთად იფხიზლე, ერთად ითავ-ცემე, ერთად იმხიარულე, თუნდ ერთად იტიროე; ოღონ ერთად იკვნესე, თუნდ ავარდით, თუნდ დავარდითო!...

მართლაც, იმ დღეებში, როდესაც Oფილისის მოქალაქეობას დღე მოსვენება არ ჰქონდათ და ღამე ძილი, სულ იმის ფიქრში იყვნენ, თუ რომელი ჯიბე-სქელი სოვდაგარი ავავსოთ თეთრი კენჭით და რომელი ჯიბა-გახვრეტილი ქარველი ჩავქოლოთ შავი კენჭითო, უფრათ ჭუთაისის წარმომადგენლებსაც ესცვეს ძუკუზალი თავის სოროებში და გამორეკეს გარეთ: აბა, ახლა თქვენც ეთი ყურები გაიბერტყეთ და ახალი ავი ქალაქის გაკეთებლათ ამოირჩიეთო!

მძინარე კაცს რომ ცივი წყალი თავზე გადაასხა და რომ წამოვარდეს, მაშინ ეს კითხვა მიაგებო:

„—პაპა შენი საიქიოს ჯორზე ზ.ს, თუ ცხენზე?“

სწორეთ ისეთი ამბავი მოუვიდათ ჭუთაისის ქალაქის წარმომადგენლებს, როცა შეიტყვეს, რომ იმათ ახალი ქალაქის თავი უნდა ამოერჩიათ.

აქ არავინ არ მოელოდა ამ ახირებულს შემთხვევას. ვერავის ვერ წარმოუდგენია ამ ათს დღეში, წინათვე მოუმზადებლათ, როგორ უნდა ამოირჩიონ ახალი თავი; ან ვინ უნდა იყოს ისეთი თამამი, უ. ლულაძის მეტი, რომ ამ ერთის წლის განმავლობაში თავის თავზე მიიღოს თითქმის სამი წლის დაგროვებული ქალაქის გამგეობის უწესობა და უთავბოლოობა?!

მეორე ისიცა, რომ აქაურს ქალაქის წარმომადგენლებს ვერ გაუგიათ, რა ნაირია ეს იმათი წარმომადგენლობ? . .

. . . . . .

ჭუთაისის ქალაქის საზოგადოება ამისთანა კაცებს, თუ უნდა, ძალიან ადვილათ გამოარჩევს თავიანთ წარმომადგენლებს შორის. იმას მეტი არა უნდა რა ამ ქვემოხ ენებულს კითხვებს მიაქციოს ყურადღება, გამოიკითხოს:

ქალაქის წარმომადგენელი სად მსახურობს?

რამდენი ჩინი აქვს, ან რამდენი ხანი უმსახურია?

ან რამდენათ მოქნილია ამისი ქედი

ან თუ ორპირობით და მელაობით გამოუწველავს ხალხი?

იმას თუ უჭირავს მეხუთე კლასის ანუ მეექვსე კლასის თანამდებობა, თუ რომ წარსულ დროებში მშვიდობიანათ უმსახურნია და ერთიოდენი შენიშვნაც არ მიუღია უფროსის წინააღმდეგობისათვის, ან თუ ყოველთვის უფროსის მორჩილი ყოფილა და ყოველთვის მოწიწებით თავი უხრია იმის წინაშე,—მაშინ უნდა იცოდეთ, რომ ამისთანა კაცი მართლაც ხმოვანი-უხმო ქალაქის თავი იქნება. . . . . .

თუ ჰსურთ ჭუთაისის ხმოვანებს ამისთანა კაცის ამორჩევა, მე ვეუჩვენებ ნ. ლ ო ლ ა ბ ე რ ი ძ ს, ლ. ლ ო ლ უ ა ს, ბ ე ს ა რ ი ო ნ ლ ო ლ ა ბ ე რ ი ძ ს.

მაგრამ თუ ქალაქის წარმომადგენლები ნამდვილ თავის კერძს და დაუდუმებელს, ძალის შეუპოვარს კაცებს ეძებენ, მაშინ მე მიეუთითებ ჯ. ოუშანიშვილზე და ან დ. აბდუშელიშვილზე.

ამ ორ უკიდურეს კაცებს შუა სდგას ლ. ასათიანი.

რადგან საზოგადოებას უკიდურესების ეშინიან, ან იმათ საკმაოთ არ იცნობს, ყოველთვის საშუალო ზომისა და ღირსების კაცებზე შედგება ხოლმე. ამიტომაც გვგონია, რომ ჭუთაისის ქალაქის წარმომადგენლები არც მარჯვნით გაიხრიან, მაინცა და მაინც, არც მარცხნით; ისინი, უეჭველია, შუა ზომის კაცს მიათითებენ ხელს და ეს შუა ზომის კაციც დღეს ლ. ასათიანია.

წერილი რედაქტორთან

—

უ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ალაგი ამ წერილს თქვენს გაზეთში:

ამ თვის (დეკემბრის) ორს რიცხვს ჩვენ მოუწოდეთ უ. ი. აბაშიძეს, თანახმათ მისის წერილისა „დროების“ 245-თე №-ში, რომ მოიცა ანგარიში იმ ფულებისა, რომელნ ც აღლ. იმან სამეფო სახლის ზალის გაქირავებით, როცა ეს სახლი იმყოფებოდა ქართული სცენის მოყვარეთა წრის ხელში. უ. ი. აბაშიძე ძოვიდა და მოგვცა ანგარიში.

ბვიჩვენა, რამდენი წარმოდგენა ყოფილა სამეფო სახლის ზალაში იმ დროს განძავლობაში, რამდენ ხანსაც ამ სახლი გამგებლობა მას ჰქონდა ხელში, რამდენი წარმოდგენისაგან აუღია ფული (ქირა ზალისა) და რამდენისაგან არა, და შემოსავლისაგან რამდენი დახარჯულა. წარმოდგენებისაგან ყველასაგან ერთნაირი ქირა არ აღებულა: ზოგზე აღებულა 18 მანეთი, ზოგზე 17, 16, 15, 12, 11, 10, 8, 7 და 6. მიზეზი, რომ ზოგიერთ წარმოდგენებისაგან ქირა არ აღებულა, დამოუკიდებელი ყოფილა უ. აბაშიძეზედ.

ანგარიში განვიხილეთ, შევუსწორეთ ამ ანგარიშთან წარმოდგენილ საბუთებს და ესცანით მართლათ.

ეზრე სად და ვის ვეჩვენოთ უთავონი? ხმ „თავ-მოჭრილებს“ დაგვიძახებენ! ნ თუ ისევ საპეკოთ გავხდეთ, ვიდრეცა მცირე-წლოვანნი! მაგრამ, არა! ეც ისე გლახათ და ურუგეშოთ ყოფილა ჩვენი საქმე!

ნიკოლაძისეულ „ოგბზორს“ ჭუთაისამ (ე. ი. Oფილისიდამ) სწორენ, რომ ჭუთაისელებს ახალ თავათ ოთხი კი პაკათ სახეშია. Oრთმა იმათგანმა თისი გულის სირბილე და ძარღვების სუსტე ჭუთაისის ბანკის ზედამხედველს კატეტში დაგვიტკიცაო და, მაშასადე, ეს რომ თავათ ავირჩიოთ, იმას ცრუტიკეთ ატრიალებენო; მეორემ ეს სიჩლუნგე ადეოკატობის დროს დანახაო და ეს რომ თავათ ავირჩეთ, „რეჩებს“ ვინ ეტყვის უცხო სტუმრაო; მესამე ქე ვარგაო, მაგრამ იმას ჭუთაისში არავინ იცნობსო; მეოთხეც ქე კარგი იქნებაო („ღმერთმანიო“!), მაგრამ, საუბედუროთ, ცენზი არა აქვსო. ამ მეოთხეზე ვერ შეუკრებია ნამდვილი ცნობა უფ. ნიკოლაძის კორრესპონდენტს! Oენზი კი აქვს, რომ მარტო ცენზი კმაროდეს სათავეო კაცისათვის!....

რავარც არ დაკლათ, არც ერთს, გარდა პირველისა, ამ ოთხს კაცზე ჭუთაისში არ ლაპარაკობენ, რომ ვითომც ისინი „თავად“ უნდოდესთ.. ბანსაკუთრებით კაცი არ უხსენებია „უცნობი“ და „უცენზო.“ Oენენი, რამდენათაც „ოგბზორის“ კორრესპონდენციის სტრიქონებს შორის, ამოვიკითხეთ, უფ. ნიკოლაძის კანტიდატები არიან... Oენამ უყიელა...!

27-ს ტელეგრამმით შეგატყობინებთ, რომ ჩვენ ან სულ უთავოთ ვიქნებით და ან თავათ ამოვირჩევთ იმ კაცს, რომელსაც უ. ნიკოლაძე გულ-რბილს და სუსტ-ძარღვებიანს ეძახის.

—

სიტყვამ მოიტანა და არ შეიძლება უ. ნიკოლაძეს ერთი კითხვა არ მივსცეთ: საიდან გაწვდება უფ. ნიკოლაძე ჭუთაისის და Oფილისის დუმებს, რომ აქაც და იქაც ის დღეს „ხმოვანია“?

უმორჩილესად გთხოვთ, უ. რედაქტორო, დამიბეჭდოთ „დროებაში“ ქვემოგადმოყვანილი განცხადება:

„Oუ ვინიცობაა რუსეთის იმპერიაში, რომელიმე ქალაქის დუმას ხმოვანი აკლდეს, ვთხოვთ ძმართოს Oფილისს „ოგბზორის“ რედაქციას.“

შვილდ-ასრიელი

ჭუთაისი, 21 დეკემბერს.

სულ შემოსულა 361 (სამახ სამოცდა ერთი) მანეთი და აქედამ დახარჯულა 196 (ას ოთხმოცდა თექვსმეტი) მანეთი. დანარჩენი 165 (ას სამოცდა ხუთი) მანეთი შეუნახავს უ. აბაშიძეს, ამ წლის 15 ნოემბერს, აქ გამსესხებელ-შემნახველ კასსაში, რომლისაგან მიცემული კვიტანცია ჩ. გვაბარია და ფულების აღება ამ კასსიდამ ეკარგმუნა.

ი. ჯაიანი
ალ. ჭინაძე
ივანე მესხის
ა. ნიკოლაძე
ანტ. ლორთქიფანიძე

ქუთაისი
9 დეკემბერს, 1878 წ.

უცხო ქვეყნები

ინგლისი და ავღანი

გაზეთს „ტაიმსში“ დაბეჭდილია შემდეგი შენიშნვა ავღანისა და ინგლისის ომის თაობაზედ:

„ამბობენ, ავღანის ემირი მორიგებას გვთხოვსო; თუ ეს მართალია, მაშინ ისეთი მორიგების პირობით უნდა შეეკრათ იმას, რომ ჩვენი შეურაცხყოფა ველარ შეიძლოს; პირობა უნდა დაგვიდვას, რომ ჩვენი მტერი იძის მტერიც იქნება და ჩვენი მეგობარი—იმის მეგობარი. აჰას გარდა ინდოეთის სამზღვრები უნდა გავიმაგროთ, რომ ავღანიდამ რუსეთს არ შეუძლის ჩვენს სამზღვრებზე გადმოსვლა“

ოსმალეთი

სტამბოლის გაზეთებში იწერებიან, ვითომც ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრს უარათიოდორი-ფაშას ეთქვას რუსის ელჩის ლობანოვ-როსტოვსკისათვის, რომ ოსმალოს ახლანდელი სამინისტრის ჰაზრი ის არისო, რომ რაც შეიძლება მალე შეჰკრას რუსეთთან დაბოლოებითი მორიგების პირობა და ამნაირად ყოველი უკმაყოფილება ჩვენს შორის მოისპოსო.

—ამბობენ, რომ მთავარ ვეზირმა ხაირედდინ-ფაშამ მოიხმო სტამბოლის გაზეთების რედაქტორები და იქ მყოფ კორრესპონდენტები უცხო ქვეყნის გაზეთებისა და გამოუცხადა იმათთა, რომ ოსმალეთი ფულ-წრფელად ჰსურს ბერლინის ტრაქტატი შეასრულოსო, ყველა სახელმწიფოებთან კეთილ განწყობილებას დაიჭერსო და შიგნითიც ეცდებიო რომ წესიერება და სამართლიანობა დაიცვასო. აჰ მოკლე ხანში ოსმალეთის პარლამენტი ხელ-ახლად იქნება მოხმობილიო და სხვ.

რუსეთი

გაზ. „პეტერბურლის უწყებები“ გვაცნობებენ, რომ ომმეტებული ნაწილი სტუდენტები მედიკო-ხირურგიის აკადემიისა უკვე გაუთავისუფლებიათ დატუსაღებისაგან. რადგან ამათ არავითარი ბრალი არ ედებოდათო.

—გაზეთის „ტელეგრაფს“ სიტყვით, მომავალ წელს იქნება ძველი რუსეთის კამერალიური აღწერა.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სტამბოლი, 20 დეკემბერს. მთელს ოსმალეთში საშინელი სიღარიბე ჩამოვარდა.

მადრიდი, 23 დეკემბერს. დღეს სიკვდილით დასაჯეს აქ მუნკოსი.

ლონდონი, 23 დეკემბერს. ღენერალ რობერტსს თავის ჯარით დაუჭერია ავღანის ქალაქი ხოსტ.

ვენა, 22 დეკემბერს. ბოდგორეცის მცხოვრებლებმა დებეშით [illegible] სულთანს, რომ იმათ არ [illegible] ბერლინის ტრაქტატის გარდაწყვეტილებას დაემორჩილონ და ჩერნოგორიას შეუერთდნენ.

პარიჟი, 21 დეკემბერს. შაბათს წავიდა აქედამ შიკრიკი ულტიმატუმით, რომელიც თუნისის ბეის უნდა წარუდგინოს. გაზ. „ლიბერტე“ ამბობს, რომ თუნისის ბეისთან მორიგება კიდევ შეიძლებაო.

ბერლინი, 21 დეკემბერს. ალბანიაში ხალხის არეულობა და ამ პროვინციის ოსმალეთიდამ მოცილებას მოელიან. იტალიის აგენტები ქადაგობენ აქ ამ აზრს.

ასტრახანი, 22 დეკემბერს. სახადის ავათმყოფობა გაძლიერდა ასტრახანში; კარანტინი დაადგინეს.

განცხადებანი

ისყიდება უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

„ჰაერლსტატი“

ქაღალდია ოთხ-მოქმედებად, თხზულება

მ. ჯორჯაძისა

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ საცნობელად, რომ ამ ქრისტეშობისთვის 29-ს, ეკლესიის თან-დასწრებით დანიშნულია ეაჭრობა (ტორგი) იჯარით მიცემაზედ იმ შემოსავლისა, რომელიც ქალაქის პირუტყვის საკლავიდამ აქვს ქალაქს.

ვისაც ამ იჯარის პირობათა დაწერილებით შეტყობა ჰსურს, შეუძლიან მიმართოს ქალაქის გამგეობამი დილის 10 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 2 საათამდინ.

3—1

რა. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი	9	21	5	18	ბ.	კაპ.	ბ.	კაპ.
მცხეთა	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი	1	44			4	42	2	46
ყვირილა	5	49			5	81	3	23
რიონი	6	5			6	75	3	75
სამტრედია	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი	9	50			9	75	5	42
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	6
სამტ[illegible]	11	5			2	6	1	14
რიონი	12	13			3		1	69
ყვ[illegible]	1	18	ღამე.		3	98	2	21
სურამი	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა	8	50	6	59	9	8	5	4
თფილ[illegible]	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მან.	კაპ.
ოკი სიტყვა თფილისიდამ:		
ქაკასიის �მეთა მზრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვი, ოდესს, მოსკოვს	2	—
პეტერბულს, ვარშავას	2	—
ოსმალეთშ, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საბერძნეთში	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) **თფილისიდამ:** სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) **ქუთაისიდამ:** თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სანზღვარ გარეთ:	კაპ.
ერთ წიგნი	4
დ. ბ ბდილის (ბ.ბი მისხალი)	8

ბაზანდა

	მან.	კაპ.
თფილისი, 19 დეკემბერს.		
ფქვ. თეთ. ბანჯარა, ფ.	1	95
ფქვილი წითელი	1	70
ქერი ფუთი	1	35
ბამბა ერევანისა, ფუთ	7	20
— ამერიკისა, ფუთი	8	40
ბაპანტ[illegible] ბ ბბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი	7	20
— თარაქამისა ფუთი	4	60
აბრეშუმი ნუხური ფ.	2	—
ქონი, ფუთი	5	20
ქონის სანთელი ფუთი	7	60
სტეარინის სანთელი, ფუთ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრ	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბოლ. ფუთი	8	40
—ფხვნილი ფუთი	6	40
ყავა გრეკილი, ფუთ.	—	70
ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	13	—
თამბაქო, საუკეთესო ფუთ.	6	80

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მაიდანზე, წინამძღვარიანის სალებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბალლეიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც—საგარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბ ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 24 Декабря 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.